დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება

განკარგულება:**g-109. 109233328**
თარიღი:**28/11/2023**

დმანისის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის მხარდაჭერის 2024 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტის, 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საფუძველზე, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. დამტკიცდეს დმანისის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის მხარდაჭერის 2024 წლის პროგრამა (პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 01 02 04) დანართი N1 - ის შესაბამისად;
2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით დამტკიცებული პროგრამის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.
3. განკარგულება ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი, სულხან საბას ქუჩა N113).

პაატა ყულიაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

დანართი 1

პროგრამის ფორმა

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 01 02 04

პროგრამის დასახელება:
დმანისის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის მხარდაჭერა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:
მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

პროგრამის განმახორციელებელი:
დმანისის მუნიციპალიტეტის მერია

პროგრამის ბიუჯეტი:
2024 წლის დაფინანსება(ლარი) – 10 000
2025 წლის დაფინანსება(ლარი) – 10 000
2026 წლის დაფინანსება(ლარი) – 10 000
2027 წლის დაფინანსება(ლარი) – 10 000

პროგრამის 2024 წლის დაფინანსების გეგმა:

N	ღონისძიების დასახელება	დამატებითი ინფორმაცია	2024 წელი		
			სულ ღონისძიება	მუნიციპალური ბიუჯეტი	სხვა წყარო
1	**საინფორმაციო მასალების დამზადება**	შინაარსის მომზადება; დიზაინის მომზადება, დაბეჭდვა, საინფორმაციო კლიპებისა და ვიდეო-რგოლების მომზადება. *გზამკვლევები, საინფორმაციო ბუკლეტები, ლიფლეტები, პოსტერები და ა.შ* *თემატიკა შესაძლებელია იყოს: საბიუჯეტო გზამკვლევი, მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმები/გზები; რა არის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო; როგორ წარვადგინოთ პეტიცია; საკრებულოს და მერიის კომპეტენცია და ა.შ.*		2 000	
2	**საინფორმაციო მასალების გავრცელება**	საინფორმაციო მასალების მედია საშუალებებში და ონლაინ სივრცეში (მათ შორის სოციალურ ქსელებში) განთავსება, სმს შეტყობინებების დაგზავნა. *მაგალითად: ადგილობრივ მედიაში სივრცის ყიდვა; ონლაინ გამოცემა; ფეისბუქ რეკლამა და აშ*		1000	

3	**დასახლების საერთო კრებების და სხვადასხვა სახის საჯარო შეხვედრების ორგანიზება - ჩატარება**	დარბაზის დაქირავება, აპარატურის (აუდიო-ვიდეო, გახმოვანების) დაქირავება, შეხვედრის მონაწილეთა კვება, საწვავით უზრუნველყოფა *დასახლების საერთო კრებები; პრიორიტეტის დოკუმენტის/ბიუჯეტის და მისი შესრულების ანგარიშის საჯარო მოსმენა; მერის/საკრებულოს წევრის ყოველწლიური ანგარიშების მოსმენა; ყოველწლიური ფორუმები; საკრებულოს ღია კარის დღეები;*	4	2 000	
4	**მუნიციპალიტეტის ორგანოებთან არსებული საკონსულტაციო-სათათბირო საბჭოების საქმიანობის ხელშეწყობა**	სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს, გენდერული თანასწორობის საბჭოს, შშმპ საბჭოს, ახალგაზრდული საბჭოს და სხვა მსგავსი საბჭოების ორგანიზაციული მხარდაჭერის ხარჯები საბჭოს წევრების ინფორმირების სისტემის დანერგვა საბჭოს განსახილველი საკითხების და შეხვედრების შესახებ. ასევე საბჭოს სხდომების დისტანციურად გამართვის სისტემის აწყობა; განსახილველი საკითხების გარშემო უფრო მეტი ინფორმირებისთვის საბჭოს წევრების რესურსულ მხარდაჭერას (საწვავი, საკომუნიკაციო საშუალებები)		1 000	
5	**კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა**	საჭიროებების გამოვლენის, პრიორიტეტების განსაზღვრის, მონიტორინგისა და შეფასების მიზნით კვლევითი (რაოდენობრივი გამოკითხვა, ფოკუს ჯგუფები და სხვა) მომსახურებების შესყიდვა ; პრიორიტეტების/ბიუჯეტის დაგეგმვის, ასევე ბიუჯეტის შესრულების და კონტროლის/შეფასების ეტაპზე საქართველოში და უცხოეთში მოქალაქეთა მონაწილოების დამატებითი ფორმების და ინოვაციური მექანიზმების კვლევა ექსპერტების დაქირავება, გარე საკონსულტაციო კომპანიის მოწვევა.		2 000	
6	**საგანმანათლებლო კომპონენტი**	მოქალაქეთა ინფორმირებულობის ამაღლების მიზნინით შეხვედრები, ტრენინგები. ტრენერის ხარჯი, მასალები, ტრენინგის მენიუ, კვება.		2 000	

ჯამი			

პროგრამის მიზანი:
დმანისის მუნიციპალიტეტის საქმიანობის შესახებ მოქალაქეთა ინფორმირებულობა და ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში მათი ჩართულობის ხელშეწყობა

პროგრამის აღწერა:

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" ითვალისწინებს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ისეთ ფორმებს როგორებიცაა: ა) დასახლების საერთო კრება; ბ) პეტიცია; გ) სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო; დ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილეობა; ე) მუნიციპალიტეტის მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა. გარდა ამისა, კანონის თანახმად, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით განსაზღვრული ფორმების გარდა, შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვროს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის სხვა ფორმები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" ასევე ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ორგანოების და თანამდებობის პირების ვალდებულებას, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველსაყოფად შექმნან ორგანიზაციული და მატერიალურ-ტექნიკური პირობები მოქალაქეთა მიღების, მოქალაქეებთან შეხვედრების, მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობაში, მათ შორის, კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომებში, მოქალაქეთა მონაწილეობისა და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის გამჭვირვალობისათვის.

მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის ეფექტურობისთვის მნიშვნელოვანია, გაიზარდოს მოქალაქეთა მონაწილეობა მათ საქმიანობაში და მოხდეს მოქალაქეთა ინტერესების გათვალისწინება საქმიანობის დაგეგმვა-განხორციელებისას, რაც მათ შორის გულისხმობს სხვადასხვა ფორმებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით მოსახლეობის ინფორმირებას მონაწილეობის ფორმებისა და მუნიციპალიტეტის არსებული პროცესების შესახებ, ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებული საჭიროებების გამოვლენის მიზნით სხვადასხვა მექანიზმებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით მოსახლეობასთან კომუნიკაციას, მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების, ბიუჯეტისა და პროგრამების ფორმირებისას მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინების მიზნით სხვადასხვა მექანიზმების/ინსტრუმენტების გამოყენებას და სხვა.

<u>პროგრამა გულისხმობს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის არსებული საკანონმდებლო ფორმების/მექანიზმების ან/და ახალი ინოვაციური მექანიზმების/ინსტრუმენტების დანერგვის ხელშეწყობას, რომელიც მათ შორის შეიძლება მოიცავდეს:</u>
1. **დასახლების საერთო კრების შესახებ მოქალაქეთა ინფორმირება და ორგანიზების მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერას** - მუნიციპალიტეტის დასახლებებში მერის, საინიციატივო ჯგუფების და სოფლის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გამართული დასახლებების საერთო კრებების და მოქალაქეთა კონსულტაციების: ა) საინფორმაციო მხარდაჭერა (SMS სერვისი, სოციალურ ქსელებში ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, განცხადებების და საინფორმაციო ბუკლეტების დამზადება, გავრცელება); ბ) რესურსულ მხარდაჭერა, როგორიცაა საწვავით, საკომუნიკაციო საშუალებებით, აუდიო-ვიდეო და გახმოვანების საშუალებებით მხარდაჭერა.

2. **მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენის ორგანიზების პროცესის მხარდაჭერა და მოქალაქეთა მონაწილეობისათვის**

პირობების უზრუნველყოფას - ა) მერის და საკრებულოს წევრების ყოველწლიური ანგარიშების ფორმირების ერთიანი სტანდარტიზებული სისტემის გამართვა; ბ) მერის და საკრებულოს წევრების ანგარიშების საჯარო მოსმენების ორგანიზების ერთიანი სტანდარტების შემუშავება, წარდგენის ციფრული პლატფორმების განვითარების, მოქალაქეთა წინასწარი ინფორმირების და ანგარიშების განთავსების სისტემის გამართვა და ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

3. საკრებულოს და საკრებულოს კომისიის სხდომებში მოქალაქეთა მონაწილეობისთვის შესაბამისი პირობების უზრუნველყოფას - ა) საკრებულოს და საკრებულოს სხდომების გამართვის დროის, დღის წესრიგის, ოქმების შესახებ მოქალაქეთა ინფორმირების სისტემის დანერგვა და მისი ფუნქციონირების უზრუნველყოფას (SMS სერვისი, ელ. ფოსტაზე დაგზავნის სისტემა); ბ) საკრებულოს და საკრებულოს კომისიის სხდომების ტრანსლაციის სისტემის აწყობა და მისი ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

4. ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნებისთვის შესაბამისი სისტემის შექმნა, გაუმჯობესება და ფუნქციონირების უზრუნველყოფას - საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციაზე მოქალაქეთა წვდომის გაზრდა, როგორც ციფრული რესურსების (ვებ. გვერდი, სოციალური ქსელები) ასევე ბეჭდური მასალის გამოყენებით (მერის წარმომადგენლის სამუშაო შენობებსა და დასახლების თავშეყრის ადგილებში საინფორმაციო დაფების განთავსება);

5. პეტიციის ელექტრონული მექანიზმების დანერგვა და სისტემის ფუნქციონირების ხელშეწყობას - ა) ელექტრონული პეტიციის ვებ. აპლიკაციის დანერგვა; ბ) ელექტრონული პეტიციის ტექნიკური მომსახურების ხარჯები; გ) ელექტრონული პეტიციის შესახებ საზოგადოების ინფორმირების ხარჯები;

6. თვითმართველობის ორგანოებთან არსებული საკონსულტაციო-სათათბირო საბჭოების (სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს, შშმ პირთა საბჭოს, ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს და სხვა) საქმიანობის ხელშეწყობას - ა) საბჭოს წევრების ინფორმირების სისტემის დანერგვა საბჭოს განსახილველი საკითხების და შეხვედრების შესახებ. ასევე საბჭოს სხდომების დისტანციურად გამართვის სისტემის აწყობა; ბ)განსახილველი საკითხების გარშემო უფრო მეტი ინფორმირებისთვის საბჭოს წევრების რესურსულ მხარდაჭერას (საწვავი, საკომუნიკაციო საშუალებები);

პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:
უზრუნველყოფილია საზოგადოების ინფორმირებულობა მუნიციპალიტეტის საქმიანობის შესახებ და ხელშეწყობილია მოქალაქეთა ჩართულობა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში.

პროგრამის საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები:

№	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები					ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა)
		საბაზისო 2023 წელი	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	
1.	მუნიციპალიტეტის მოსახლეობა, რომელსაც კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმით მიეწოდება ინფორმაცია *(რაოდენობრივი მაჩვენებელი)*		3 000	4 000	4 000	4 000	ინფორმაციის სიმცირე; ინფორმაციაში შესაძლო ხარვეზები და უზუსტობები; არასათანადოდ შერჩეული კომუნიკაციის არხები
2.	თვითმმართველობის განხორციელების პროცესში ჩართული მოსახლეობა *(რაოდენობრივი მაჩვენებელი)*		130	200	200	200	მოსახლეობის ნაკლები ინფორმირებულობა, ნაკლები დაინტერესება;
3.	თვითმმართველობის განხორციელების			35 %	35 %	35 %	

	მოსახლეობის მაჩვენებლის ზრდა წინა წელთან შედარებით *(%-ლი მაჩვენებელი)*						
4.	www.lsgindex.org - ის შეფასება	28 %	40	45	50	50	
5	ადგილობრივ დონეზე მოქალაქეთა მონაწილეობის ხარისხის თვითშეფასების (pp.meter.ge) შედეგი	4 ქულიდან 2,55 ქულა	3 ქულა	3 ქულა	3ქულა	3 ქულა	